ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის

ო ქ მ ი N 31

17ივნისი , 2025 წელი, 15:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე–2
სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი, ბასილაძე გია, სიმონიძე მაია, მახარაძე ბაქარი, ლილუაშვილი პაატა, მხეიძე დიმიტრი,ნადირაძე თემური, რიჟამაძე მამუკა, მამასახლისი ზაქრო,კოპალეიშვილი ამირანი, გიორგაძე მიხეილი.

სულ ესწრებოდა:11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: შენგელია ირაკლი,ჯუღელი თეა, ჩიხლაძე მანანა, კოსტავა მაგდა,ბიბილეიშვილი ჯემალი,ხამაშურიძე ბესიკი,

სულ: 6 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების'' სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე.** შპს ''ქუთისის სატრანსპორტო კომპანიის ''დირექტორი ბატონი ირაკლი ცხვედიანი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს**

ფრაქცია „ქართული ოცნების“

N31 სხდომის დღის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ** წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ **N31** სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების'' სამსახურის მიერ 2025 წლის მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი თენგიზ არსენიძე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
''სპეციალური სერვისების' სამსახურის
ხელმძღვანელი

2. შპს ''ქალაქ ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' მიერ 2025 წლის მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი ირაკლი ცხვედიანი

შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო
კომპანიის დირექტორი

2.მიმდინარე საკითები

ქალბატონი მარეხი ნიჟარაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' თავჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის **N31** სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი-

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარადგინა ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპეციალური სერვისების'' სამსახურის ხელმძღვანელმა ბატონმა თენგიზ არსენიძემ.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ **2025 წელს** ხუთი თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ:

2025 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 9 350 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 350 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 2 456 317,18 ლარი და 842 836,96 ლარი საკუთარი სახსრებიდან.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებს" 2024 წლის საკუთარი სახსრების ბიუჯეტიდან გადმოყვა 316 877,34 ლარი. დამატებით მიიღო 577 825,93 ლარის შემოსავალი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 21 134,00 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 358 040 630,0 $მ^2$. ქალაქის ქუჩები. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 18,8 ტონა ტექნიკური მარილი და 132,06 $მ^3$ ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 137 შეკვრა მუყაო. 2024 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 39 შეკვრა მუყაო და 33 შეკვრა პლასტმასი. აქედან 108 შეკვრა მუყაო გაიყიდა.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მა

რთვის კომპოსტირების სამსახურს 2024 წლიდან გადმოყვა 91,7 ტონა დაქუცმაცებული ნედლეული და 29,5 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი. 2025 წელს ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვით და სხვლა-ფორმირებით და მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად გადამუშავდა 22,7 ტონა კომპოსტირებული მასალა (დაქუცმაცებული ნედლეული). აქედან 30 ტონა გაიცრა და 9 ტონა გადავიდა მზა პროდუქციაში.

გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 257 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 54 ძირი ხე. საშეშე მერქანით დაკმაყოფილდა 44 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 141 დაგეგმილი სამუშაო.

უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 514 ძაღლი, 6 ლეკვი და 15 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 28 ძაღლი, 12 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 15 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 40 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 5 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 456 ძაღლს, აიცრა 459 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 416 ძაღლი.

მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 449 868 m^2 ტერიტორია. დეზინსექცირდა სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა 14 770 m^2 ფართობი და 22 კრაზანის ბუდე, დეზინფექცირდა 398 655 m^2, ასევე შეიწამლა 834 სველი წერტილი. ქვეწარმავლების დასაფრთხობად შეიწამლა 13 264 გრძივი მეტრი ტერიტორია.

გაიწმინდა - 11 534 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 1149 ჭას და ცხაურს, აღდგა 25 ცხაური, დამონტაჟდა 5 და ჩაისვა 15 ჭის თავი, ბალახისაგან გაითიბა - 292 390 m^2 ფართობი. დემონტაჟი გაუკეთდა და აღდგა 8 საბავშვო ატრაქციონი, ასევე 3 საფეხბურთო მოედანი და 2 სავარჯიშო ტრენაჟორი. შესრულდა - 200 სხვა დამატებითი სამუშაო. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 435.

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,,მინდა წარმატებები გისურვოთ თქვენ და თქვენს თანამშრომლებს საქმიანობაში. თქვენი სამსახური არის მოქალაქეების საჭიროებებზე ორიენტირებული, ამიტომ მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათი პრობლემების მოგვარებას, რის გამოც ჩვენ ხშირად მოგვიწევს შეხვედრები.რათქმაუნდა ვართ ჩართული ამ პრობლემებში, თუმცა კიდევ უფრო განსაკუთრებული ჩართულობა მოგვიწევს იმ პრობლემებზე, რაც მოსახლეობის მხრიდან მოდის. მე მაქვს რამოდენიმე კითხვა თქვენთან, პირველი რაც მაინტერესებს, რამდენი ნაგვის შემკრების შეძენას აპირებთ? ლოკაციები თუ გაქვთ შერჩული''?

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე:** ,,რათქმაუნდა დაგეგმილი გვაქვს შემდეგი ნაგავმზიდების შეძენა:

18 m^3 – 3 ცალი; 12 m^3 – 6 ცალი; 7 m^3 – 3 ცალი; რაც შეეხება ლოკაციებს, მოსახლეობის მოთხოვნით და ადმინისტრაციულ ერთეულებთან შეთანხმებით შერჩეული გვაქვს.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,,რა სახის ტექნიკის შეძენას გეგმავთ?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე:** ,,აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემიძლია მოაგაწოთ ინფორმაცია. დაგეგმილია:- ამწე კალათის შეძენა 1 ცალი; თოვლის საწმენდი (კომბინირებული) 1 ცალი; მექანიკური სახვეტი (სვიპერი) 1 ცალი; თვითმცლელი 3 ცალი; ექსკავატორი დამტვირთველი (დიდი) 1 ცალი; ექსკავატორი დამტვირთველი (პატარა) 1 ცალი; სპეციალური ავტომობილი (სატვირთო ლიფტით) 1 ცალი.

ლითონის კონტეინერები (1100ლიტრი) 200 ცალი, პლასტმასის კონტეინერები (1100ლიტრი) 800 ცალი; ასევე ზამთრის სეზონისათვის 30 ტონა ტექნიკური მარილის შეძენა.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **ბაქარ მახარაძე:** ,,მინდა შევეხო ცხოველების თემას ,როგორც ვიცით გვიჭირდა მათი დაჭერა. რა ხდება ამ საკითხთნ დაკავშირებით?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი **ბატონი თენგიზ** არსენიძე: ,,აღნიშნულთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ,რომ გვყავს ორი ჯგუფი,რომლებიც აგვარებენ ამ პრობლემას.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **გია ბასილაძე : ,,**მაინტერესებს რამდენი ერთეული ტექნიკა შემოგვყავს და საშუალოდ რამდენი მუშა ემსახურება?''
ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების''სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **თენგიზ არსენიძე: ,,**შემოგვყავს 21 ერთული და ამჟამად ორი მუშა ემსახურება, თუმცა დაგვჭირდება დამატება.''
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე** :,,თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვაქვს გადავიდეთ კენჭისყრაზე. ვინ არის თანახმა ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.?''

მომხრე-11, წინააღმდეგი-0.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ''სპეციალური სერვისების'' სამსახურის მიერ 2025 წლის მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეფასდეს დადებითად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი-

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია წარადგინა შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორმა ბატონმა ირაკლი ცხვედიანმა:

2025 წლის პირველ ხუთ თვეში შპს ,,ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ გადაყვანილი მგზავრთა რაოდენობა **2983916** კაცს შეადგენს, საიდანაც მთლიანმა შემოსავალმა გაწეული მომსახურებიდან შეადგინა **1,790,494.00**ლარი.

იანვარი - **313 806.00** ლარი, **523 010** კაცი.

თებერვალი - **314 278.80** ლარი, **523 798** კაცი.

მარტი - **387 548.40** ლარი, **645 914** კაცი.

აპრილი - **366418,80** ლარი, **610,611** კაცი,

მაისი - **408 441** ლარი, **680 583** კაცი,

სადაც **672823,60** ლარი შეღავათებს მოიცავს,

იანვარი - **115 188.90** ლარი,

თებერვალი - **115 832.70** ლარი,

მარტი - **147 313.50** ლარი,

აპრილი - **139,008.70** ლარი,

მაისი - **155,479.80** ლარი,

13559,30 ლარი სატრანსპორტო მომსახურებიდანაა (ააიპ ,,ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის"), 3840,68 ლარი მეორადი ზეთის რეალიზაციიდან შემოვიდა, ხოლო სარეკლამო ფართის გაქირავებიდან შემოსავალმა **13238,22** ლარი შეადგინა სულ 30638,20 ლარი.

2025 წლის პირველ ხუთ თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებულმა სუბსიდიამ **1 590 000.00** ლარი შეადგინა.

აღნიშნულ პერიოდში დარიცხულმა ხელფასმა ჯამში **1682928,88** ლარი შეადგინა,

იანვარი - **323 580.71** ლარი,

თებერვალი - **322 237.39** ლარი,

მარტი - **350 956.34** ლარი,

აპრილი - **348 558,16** ლარი

მაისი - **337 596,28** ლარი,

საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის დასაქმებულთა რაოდენობამ ვიზედაც ხელფასი დაირიცხა 191 ერთეული შეადგინა, აქედან მძღოლების რაოდენობა 91-ია, ხოლო პერიოდის ბოლოსთვის დასაქმებულთა რაოდეონობამ 197 ერთეული შეადგინა საიდანც მძღოლი 95-ია.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადებმა **335138,00** ლარი (საშემოსავლო, დღგ) შეადგინა, ხოლო მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისათვის ნებართვის მოსაკრებელმა **8800** ლარი, შპს ,,აზია სერვისის" მიერ გაწეულმა მომსახურებამ **387 843,93** ლარი შეადგინა, შპს ,,სან პეტროლიუმის" მიერ მოწოდებულმა დიზელის რაოდენობა **414362,21** ლიტრია და მისი ღირებულება **1 040 715,97** ლარს შეადგენს, შპს,,რომპეტროლ საქართველოს" მიერ მოწოდებული ბენზინის ოდენობამ **3631,43** ლიტრი შეადგინა და მისი საფასური **8686,99** ლარია, კომუნალურმა გადასახადებმა **21 220.52** ლარი შეადგინა

წყალი - **6197,77**ლარი,

ელ.ენერგია - **17284,86** ლარი,

ბუნებრივი აირი - **6450** ლარი,

სატრნანსპოტო საშუალებებზე ტექნიკური ინსპექტირების საფასურმა ჯამში **5360** ლარი შეადგინა, შპს ,,ჯითი მოტორსზე" გადახდილი თანხა **37812** ლარია, რომელიც მომსახურებას გვიწევს ფორდ ტრანზიტების ტექნიკურ მომსახურებაზე. **6947,60** ლარი გადაუხადეთ შპს ,,თეგეტა მოტორ"-ს რომელიც საბურავების დაშლა/აწყობა ბალანსირების მომსახურებას ანხორციელებს. შპს ,,ზეტეკს" **15540** ლარი გადაუხადეთ ავტობუსების სამრერცხაო აპარატეპის პერიოდულ მომსახურებაზე, შპს ,,მაგთიკომის" მიერ ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულებამ **3027,24** ლარი შეადგინა, **117,00** ლარის სატელეფონო მომსახურება გაგვიწია შპს ,,ტელეკომ 1"-მა, რომელიც ორგანიზაციის ქოლცენტრისთვისაა განკუთვნილი, **323,00** ლარის საფოსტო მოსახურება გაგვიწია შპს ,,საქართველოს ფოსტა"-მ, სსიპ ,,სერვისების განვითარების სააგენტო"-მ **940.80** ლარის ოდენობით მომსახურება გაგვიწია, ხოლო სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტო"-მ **55,00** ლარი, რომელიც დასაჯარიმებელი მგზავრების მონაცემების მოწოდებასთან დაკავშირებით გვიწევს მომსახურებას, ოფისისათვის განკუთვნილი ინტერნეტ მომსახურებაში **1500** ლარი დაიხარჯა, რომლის მოწოდებასაც შპს ,,დატაკომი" ანხორციელებს, შპს ,,აქვა გეო"-ს **913,50** ლარის ოდენობით თანხა გადაუხადეთ ოფისისათვის განკუთვნილი სასმელი წყლის და ერთჯერადი ჭიქების. **15564,00** ლარი გადავიხადეთ 10 მიკროავტობუსის დაზღვევაში. ამ პერიოდში სსიპ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს გადაუხადეთ **500.00** ლარის ოდენობით აუქციონის გამოცხადების საფასური. **3600,00** ლარი გადაუხადეთ შპს ,,ავტოდახმარება ჯუბას" ფორდის მიკროავტობუსების ქუთაისიდან თბილისში შპს ,,ჯი თი მოტორსში" გადაყვანისათვის, სხვადასხვა სარეცხი საშუალებებისათვის შპს ,,მორიკას" **242.85** ლარი გადავიხადეთ, შპს ,,HANSA-FLEX Georgien"-ში შევიძინეთ **1096.00** ლარი ღირებულების მაღალი წნევის შლანგები, სხვადასხვა სამუშაოესათვის საჭირო სამუშაო იარაღების შესაშენად შპს ,,გოგე და კომპანიში" **3805.85** ლარი გადავიხადეთ, ხოლო შპს ,,გორგია"-ში **766.00** ლარი, **2760.00** ლარი გადავიხადეთ შპს მასა-ში ავტობუსებისთვის განკუთვნილი ნათურების და სხვადასხვა სახის ზეთების შესაძენად, **805.40** გადავიხადეთ შპს ,,მაიპისში" საკანცელარიო ნივთებში, სხვადასხვა სახარჯი მასალის შესაძენად შპს ,,ქება 2024"-ში **419.65** ლარი გადავიხადეთ, ავტობუსების სამრეცხაოზე სანიაღვრე სისტემის გაწმენდაში შპს ,,მუნიციპალ სერვისს" **875.00** ლარი გადაუხადეთ, 500.00 ლარი გადაუხადეთ ლევან ნიკოლეიშვილს ამწე კალათის მომსახურებში , რომელიც დიდთოვლობის დროს გახდა საჭირო მუშახელის საწყობის სახურავზე ასაყვანად, **1858.50** ლარი გადაუხადეთ შპს ,,მეტალ"-ს ლითონის კუთხოვანის შესაძენად საწყობში თაროების მოსაწყობად,

რომელიც მოწყობის სამუშაოები ნუგზარ მუმლაძემ განახორციელა და მას აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად **1000.00** ლარი გადაუხადეთ. **1130.00** ლარი გადაუხადეთ შპს პრემიერს სადაც დიფტი შევიძინეთ მიკროავტობუსების იატაკის შესაკეთებლად, ხოლო შპს ლევანტოს **225.00** ლარი აღნიშნული იატაკის წებოსათვის. 2025 წლის თებერვლის თვეში შევისყიდეთ ახალი ელექტრო ავტობუსებისათვის YUTONG BUS CO LTD-მ 9940.91 ლარის ღირებულების სათადარიგო ნაწილები მოგვაწოდა, ხოლო იმპორტის გადასახადმა 2214.22 ლარი შეადგინა, ხოლო შპს კავკასტრანსექსპეტის მომსახურებამ 564.48 ლარი.

საფინანსო სამსახური პერიოდულად ახდენს საწყობის ნაშთების დათვლას, ფაქტიური და ბუღალტრული ნაშთების შედარებას და შესასყიდი მარაგების პერიოდულად შევსებას. ასევე ვახორციელებთ შესასყიდი მასალების და მომსახურების ფასების კონტროლს. მუდმივად ვახორციელებთ კომპანიის სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტებზე და პერიოდულ მომსახურებაზე გამოწერილი სამუშაოს შესრულების აქტების და ფინანსური დოკუმენტების შედარებას. ყოველი თვის 15 რიცხვამდე ვახდენთ საშემოსავლო, მოგების და დღგ-ს დეკლარაციების შევსებას და გადაგზავნას საგადასახადო სამსახურში კანონის შესაბამისად. შემჭიდროვებულ ვადებში ვახორციელებთ ბუღალტრულ გატარებებს ორისის პროგრამაში, რაც საშუალებას იძლევა ძალიან ოპერატიულად და მოქნილად მოვახდინოთ კომპანიის ნაშთების მონიტორინგი.

ვახდენთ ყოველი თვის მომავალი თვის 15 რიცხვამდე შესყიდული საწვავების და შესაპოხი მასალების აღრიცხვას, კონტროლს და ჩამოწერას გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით. მონიტორინგს ვახდენთ ყოველდღიურად სატრანსპორტო საშუალებებში საწვავის შევსებას, რათა არ მოხდეს დადგენილი წესის დარვევა.

დაისვა შეკითხვები,გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **დიმიტრი მხეიძე : „** რა შეგიძლიათ გვითხრათ მომდევნო 7თვის მანძილზე დაგეგმილი სამუშაოების შესახებ?**"**

შპს„ ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი:**

„რაც შეეხება 2025 წლის დარჩენილ 7 თვეს (ივნისი-დეკემბერი) დაგეგმილია გაიცეს 2380000 ლარის ოდენობით შრომის ანაზღაურება, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისათვის ნებართვის მოსაკრებელი 12320 ლარი, შპს „აზია სერვისის" გასაწევი მომსახურება 500000 ლარითაა განსაზღვრული, შპს„სან პეტროლიუმის" მიერ მოსაწოდებელი დიზელის რაოდენობა 580000 ლიტრია და მისი ღირებულება 1450000 ლარით განისაზღვრა, შპს„რომპეტროლ საქართველოს" მიერ მოსაწოდებელი ბენზინის ოდენობამ 5500 ლიტრი შეადგინა და მისი საფასური 13750ლარია, კომუნალური გადასახადების ხარჯი 36000 ლართაა გათნსაზღვრული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველ მომდევნო თვეში მზარდია,რამ გამოიწვია ?''

შპს,, ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი: ,,**ნამდვილად გაიზარდა,მიზეზი არის ტურისტების მატება და ამინდის მკვეთრი გაუმჯობესება, რაც აისახა მოსარგებლეთა რაოდენობაზე.**''**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ბატონი **მამუკა რიჟამაძე: ,,**იგეგმება თუ არა შეძენა ავტობუსის და ასევე მიკროავტობუსის? რამდენის?' არის თუ არა საკმარისი 95 მძღოლი?''

შპს,, ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი ბატონი **ირაკლი ცხვედიანი: ,,**გვაქვს კომუნიკაცია ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეძენის თაობაზე, მოვითხოვეთ 70 ერთეული და ველოდებით პასუხს.რაც შეეხება მძღოლების რაოდენობას არ არის საკმარისი,გვესაჭიროება დამატებით 15 მძღოლი.''

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე** :,,თუ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები არ გვაქვს გადავიდეთ კენჭისყრაზე. ვინ არის თანახმა ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.?''

მომხრე-11, წინააღმდეგი-0.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

შპს ''ქალაქ ქუთაისის სატრანსპორტო კოპმპანიის'' მიერ 2025 წლის მაისის ჩათვლით გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეფასდეს დადებითად.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ ოცდამეთერთმეტე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მ. ნიჟარაძე